ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინანსო-საბიუჯეტო და

სოციალური კომისიის სხდომა

ოქმი N 02

დ. ლენტეხი 02.02.2026 წ.

ა/წ. 2 თებერვალს , დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ : სოციალური კომისიის თავმჯდომარე ცირა ლიპარტელიანი,საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ელდარი ლიპარტელიანი ,კომისიის წევრი მალხაზ ბენდელიანი, კომისიის წევრი ზურაბ ონიანი, დალი ტვილდიანი, , საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ქურასბედიანი,საფინასო საბიუჯეტო ჯომისიის წევრები, ამირან ქურასბედიანი და ნინო ბენდელიანი, მოწვეული სპეციალისტი ცოტნე ქურასბედიანი, საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივ რესურსთა კომისიის თავმჯდომარე დავით ფურელიანი. სოც. საკითხთა კომისიის სხდომის მდივნი ესმა მუკბანიანი, საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის მდივანი მთვარისა ლიპარტელიანი.

სხდომას ესწრებოდა მოწვეული სტუმარები: საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი და ა(ა)იპ პირების დირექტორები.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ელდარ ლიპარტელიანმა კომისიას გააცნო დღის წესრიგი შემდეგი საკითხებით:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა0იპ პირების 2025წლის გეგმა -პროგრამებში შეტანილი ცვლილებების დაზუსტება-დამტკიცების შესახებ

   / მომხ. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავ-რე ე.ლიპარტელიანი /

2. სხვადასხა

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

ბატონმა ელდარმა განმარტა, რომ ცვლილებები ძირითადად შეტანილი იქნა სამი ა(ა)ი.პ პირის გეგმა-პროგრამაში; ცვლილება შევიდა კულტურის გაერთიანება ჯ.მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრის, ო.ლიპარტელიანის სახელობის ოლიმპიური მომზადების ცენტრის გეგმა-პროგრამებში.

საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა დაზუსტებული სახით წარმოადგინა 2025 წლის ა(ა)იპ პირების გეგმა-პროგრამები. მან აღნიშნა, რომ ჯ.მეშველიანის სახ.კულტურის ცენტრს კულტურული ღონისძიებებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის კულტურული ღონისძიებების მუხლიდან დაემატა 14500 ლარი. ო.ლიპარტელიანის სახელობის

ოლიმპიური მომზადების ცენტრს, სპორტული ღონისძიებების მუხლიდან, დაემატა 2390ლარი სპორტული ღონისძიებებისთვის; კულტურის გაერთიანებას, კულტურული ღონისძიებების მუხლიდან, დაემატა 30500 ლარი კულრურული ღონისძიებებისათვის.

წლის განმავლობაში, გეგმა-პროგრამების სუბსიდიებზე დამატებული თანხები, 2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბოლო ცვლილებაში ასახულია შესაბამისი ა(ა)იპ პირების ბიუჯეტის ხარჯებში მუხლების მიხედვით. ცვლილება მოხდა დეკემბრის ბოლო რიცხვებში, მაგრამ ამ ცვლილებების დამტკიცება ვერ მოხერხდა, დამტკიცება გადმოტანილი იქნა 2026 წლის თებერვლის დასაწყისში.

მოსმენის შემდგომ სხდომა წარიმართა კითხვა პასუხის რეჟიმში. სოციალურ საკითხთა კომ ისიის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ბატონ ტახუ ჩანქსელიანს, რომ 2026 წლის ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების სუბსიდიაში თუ არის გათვალისწინებული თანხის დამატება დასაქმებული პერონალის პროფესიული გადამზადებისა და ჰასპის პროგრამის დანერგვისთვის, ვინაიდან 2026 წელს დაგეგმილია ოთხი ბაღის ავტორიზაციის გავლა. ასევე საბიბლიოთეკო გაერთიანებაში უფროს ბიბლიოთეკართა ხელფასების გათანაბრება, რაზეც ბატონმა ტახუმ პასუხი გასცა, რომ თხოვნა იქნება გათვალისწინებული

გადაწყვიტეს: მოსმენილი ანგარიში - დაზუსტებულად იქნა ცნობილი ა(ა)იპ პირების 2025 წლის გეგმა-პროგრამებში შეტანილი ცვლილებები .ეს საკითხი დასამტკიცებლად გატანილი იქნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე

სხდომა დასრულდა 14 საათზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური კომისიის

თავმჯდომარე: /ც.ლიპარტელიანი/

საფინასო-საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარე /ე.ლიპარტელიანი/